

# ახალი თავი

akhalitaoba.ge

„აღუდა გობლირია  
ქალაქობს ქალზე  
და შვილებს  
არ  
მანახვებს“

გვ. 5

რას ითხოვს  
თეონა  
ჯულუხაძე



სუთშაბათი, 24 სექტემბერი, 2020

№201 (8465)

ფასი: 60 თეთრი

## „მიუა თუ მონსტრია, ბოკერიამ 9 წელი მასთან რიგორ გაქლო?!“

„ხელისუფლების  
მდგომარეობა მძიმდება“



გვ. 3



ნაციონალურმა  
მაჟორიტარობის  
კანდიდატები  
ნარაღბინეს

გვ. 2



გვ. 4

## „სააკაშვილის და ივანიშვილის გაქიბუქობენ“

გვ. 3

ლაშა ჩხარტიშვილი:  
„ჯობია პოლიტიკოსებმა  
შეჭამონ ერთმანეთი,  
ვიდრე ხალხი შეჭამონ.  
აქამდე ხალხს ჭამდნენ“



## „ხელისუფლება აღვოკატთა ინსტიტუტს აფეთქებს!“

ნიკოლოზ მჭავანაძე: „37 წელში რომ არ მომხდარა, ისეთი  
რალაც ხდება. დღეს თუ ეს გავატარეთ, ხვალ მოვლენ და  
სახლებში დაგვიყენებენ მოსასმენებს. თუ რამე ეჭვები აქვთ,  
ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადვოკატის უფლებები შელახონ!“

ვახტანგ გომელაური:  
„დისკრიმინაციის  
წინააღმდეგ  
ეუთქიან ბრძოლაში  
მნიშვნელოვანია  
კოორდინირებული  
მუშაობა“

გვ. 5



2 ნუკრი  
ქანთარია:  
„სააკაშვილი  
თავაშობს და  
თან ხუდად“

4 ოკუპირებულ  
აფხაზეთში  
ეკიდუფეთქებაა

5 ჭავჭავაძე  
ავტობუსი  
ახალგაზრდა ქალს  
დაეჯახა

6 პარიზში  
10 კაცზე მეტის  
თავშეყრა  
იკრძალება



# ნაციონალურმა მაჟორიტარობის კანდიდატები

გუშინ, 23 სექტემბერს, პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა.

კანდიდატები ზაალ უდუმაშვილმა დაასახელა. საპარლამენტო მანდატებისთვის იბრძოლებენ: გლდანში (თბილისი) – ნიკანორ მელია; ისანში (თბილისი) – ხატია დეკანოიძე; სამგორში (თბილისი) – ლევან ხაბეიშვილი.

**რეგიონებში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატები არიან:**

ქუთაისის – გრიგოლ ვაშაძე; გურჯაანის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს – ლევან ბეჟაშვილი; თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის – გიორგი ბოტკოველი;

რუსთავის და გარდაბნის – დავით კირკიტაძე; მარნეულის – აზერ სულეიმანოვი; გორისა და კასპის – ბადრი ბაისიშვილი; ხაშურის და ქარელის – ნატო ჩხეიძე; ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი – ვაჟა ჩიტაშვილი;

ახალქალაქის და ნინოწმინდის – მელიქ რაისიანი; საჩხერის, წიათურის და ხარაგაულის – გიორგი კაპანაძე;

ზესტაფონი, ბაღდათი, თერჯოლა, ტყეშელის – კახა გენაძე; წყალტუბო, სამტრედია, ვანი, ხონი – ნანუკა ჟორჯოლიანი;

მარტვილი, აბაშა, ჩხორწყა, წალენჯიხა – როლანდ ფიფია; ფოთი, სენაკი, ხობი – მურთაზ ზოდელავა;



ზუგდიდი – მალხაზ ჯალალონია; ბათუმი – ლევან ვარშალომიძე; ქობულეთი – ბონდო თევდორაძე; ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო – მიშა ბოლქვაძე; დმანისი, წალკა, ბოლნისი, თეთრიწყარო – კახა ოქრიაშვილი;

თიანეთი, მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი – ცეზარ ჩოჩელი; ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, მესტია – დილარ ხაბულიანი;

გურია – მანუჩარ კვიციანი. აჭარის უმაღლეს საბჭოში: ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო – გია აბულაძე; ქობულეთი – ელგუჯა ბაგრატიონი;

ბათუმი – გიორგი კირთაძე. საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდება.

# გიგი უგულავა: „სანდრა ზუგდიდის რომელი სოფლიანაა?“

„ევროპული საქართველო“ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიგი უგულავა „ენმ“-ს მიერ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად ექიმ მალხაზ ჯალალონიას წარდგენას ეხმაურება.



უგულავა ზაალ უდუმაშვილს მიმართავს.

„ზუგდიდი ირჩევს ზუგდიდელს. ძვირფასო მეგობარო, სანდრა ელისაბედ რულოვსი, ხომ ვერ მეტყვი, ზუგდიდის რომელი სოფლიანაა უბნიდანაა ვერ მაჟორიტარი და მერე საერთოდ მერე რომ იყრიდა კენჭს? თუ ბელადის ოჯახის წევრებს წარმოშობის სერტიფიკატს არ ვუმონებთ? ვერ ხვდებით, რომ უხერხულად სამარცხვინოდ გამოიყურებით, როცა ქოცა ჩიქოვანის მსგავსად იკბინებით. ისე ძალიან კი ემსგავსებით ერთმანეთს.“

პ.ს. ბატონ მალხაზს არ ვიცნობ, ასე გაკითხვით მხოლოდ კარგ ექიმად დამხასიათებ. ვუსურვებ მალე და ჯანმრთელად დაეღწიოს თავი თვითიზოლაციისთვის. იმედი მაქვს კონფერანსი უდუმაშვილის და კომპაკტური ჩიქოვანისგან განსხვავებულად უყურებს ზუგდიდისა და ქვეყნის მომავალს და არც ტრაბალიზმის კლიშეები ანუხებს. აუცილებლად მოვიწვევ მას სადისკუსიოდ ღია ეთერში თუ პრივატულად ჩაიხე“ – წერს უგულავა.

# ნუკრი ქანთარია: „საკაპოვილი თამაშობს და თან ცუდად“



ლესე შეადარა, რომლებიც ამომრჩევლებს ატყუებენ, რომ რაღაცას წარმოადგენენ. ქანთარიას განმარტებით, არსებობს ბანკირებისგან შემდგარი ალტერნატივა, რომლებმაც პოლიტიკური მოძრაობა იმუნიტეტისთვის შექმნეს.

– ამას ჰქვია „ამაოების ბაზარი“ ოპოზიციის მხრიდან, ამაოების ბაზარზე არიან შემოსულები და ცდილობენ, რომ იქნებ როგორმე დააჯერონ ამომრჩევლებს, რომ რაღაცას წარმოადგენენ. ერთი გადავიდა დიდ ბოდიშებზე, მეორეები ერთმანეთს დაერივნენ. ღმერთმა ნუ ქნას, ახლა ერთი ნუთით რომ წარმოვიდგინოთ, რომ ესენი მოვიდნენ კოალიციურ მთავრობაში. ჯერ ერთი, ერთმანეთს დაუხეტქავენ თავებს და მერე, როგორ დანიანობენ ყველაფერს და რა ამბავი ატყუდება თითო გროსზე და ეს იქნება საშინელება. ამას საზოგადოება კარგად ხედავს.

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ნუკრი ქანთარიას შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდინას „თამაშობს და თანაც ცუდად“. ქანთარიას თქმით, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, „თავი მოკატუნოს“, თუმცა ქართული საზოგადოება ამას აღარ დაიჯერებს.

ამის შესახებ ნუკრი ქანთარია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ ისაუბრა.

– მე ძალიან კარგად ვარჩევ ტყუილსა და მართალს, ჩემი პროფესია რეჟისურაა და წლების განმავლობაში ცუდმაო, სააკაშვილი თამაშობს და ცუდად თან. მისი ინტონაცია კლიშეში არის ძალიან ყალბი და მაქსიმალურად ცდილობს, რომ თავი მოკატუნოს, ამას ჰქვია თავისი მოკატუნება, მეტი არაფერი და ამას ჩვენი საზოგადოება, ბუნებრივად, ვერ იყიდის და არც უყიდის. ჰყავს მას გარკვეული თანამშრომლები, გულშემატკივრები და ისინი შეიძლება, ალტაცებში მოვიდნენ, რომ დანიანობენ ხოლმე, მაგრამ ესეც არის ცოტა არაჯანსაღი მდგომარეობა, – განაცხადა ნუკრი ქანთარია.

ოპოზიციანულ საუბრისას ქანთარია იხსენიებს „ამაოების ბაზარზე“ მისულებს.

# საქართველოს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი იხსენიებს

24 სექტემბერს საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიჰუნ ბაირამოვი ეწევა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.



მათივე ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში გაიმართება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, გიორგი გახარიასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, დავით ზალკალიანთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ნათია თურნავასთან, ასევე საქართველოს პარლამენტში – პარლამენტის პრეზიდიუმის მოადგილესთან, კახაბერ კუჭავასთან და საქართველოს პარლამენტის წევრებთან.

„ვიზიტის ფარგლებში ჯეიჰუნ ბაირამოვი გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს და ასევე პატივს მიაგებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული გმირის ჰეიდარ ალიევის მემორიალს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# კახა გენაძე: „გიგი უგულავას არც მებობარი ჰყავს და არც არავინ უყვარს“

„ძალა ერთობაშიას“ ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყეშელის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა კახა გენაძემ „დღის კურიერის“ ეთერში განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთი გადაამწყვეტი პირი და ლიდერია.

– „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაწყვეტილებას ერთად იღებენ. პარტიაში ხმადასმული ხმა აქვს ამა თუ იმ პიროვნებას, მაგრამ საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება ერთად მიიღება. მიხეილ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი გადაამწყვეტი პირია და ვფიქრობთ, რომ ის ჩვენი ლიდერია“ – განაცხადა კახა გენაძემ.

კახა გენაძემ ასევე აღნიშნა, რომ ის „ევროპულ საქართველოს“ უკვე ოპონენტად თვლის.

– „ევროპულ საქართველოს“ უკვე ოპონენტად ვთვლი, რადგან ასეთ მდგომარეობაში აგდებენ საარჩევნო კამპანიას. ამის ნათელი მაგალითი იყო ის, რაც რამდენიმე დღის წინ, გიგი უგულავამ გააკეთა. საერთოდ გაუგებარი იყო, რა უნდოდა მას ჩემთან და რატომ გადმოვიდა შეტევაზე. ისიც ვერ გავიგე, რატომ მიწუნებდა ადამიანებთან მეგობრობას გიგი უგულავა.

თუ მისი კრიტიკით გავეცხობთ, მაშინ საქართველოს ერთმა ნაწილმა მთელი ნაწილს სულ უნდა სდიოს და ეჩხუბოს. გიგი უგულავას, ვფიქრობ, რომ არც მეგობარი ჰყავს და არც არავინ არ უყვარს. ჩემსა და მას შორის, წარსულში არანაირი სახის კონფლიქტი არ ყოფილა, თუმცა



მე მასთან მჭიდრო შეხება არასოდეს მქონია. აღსანიშნავია ის, რომ 2014 წელს ჩემს მხარდასაჭერად ჩამოვიდა, როდესაც კენჭს საკრებულოში ვიყრიდი, – აღნიშნა კახა გენაძემ. კახა გენაძემ ასევე აღნიშნა, რომ პატარა პროცენტური პარტიები არჩევნებზე სიდიდით დიდ პარტიას გვერდით უნდა დასდგომოდნენ. პატარა პროცენტური პარტიაში კახა გენაძემ აღნიშნა, რომ „ევროპული საქართველოსაც“ გულისხმობდა.

გენაძის თქმით, ამ პარტიამ ბევრი ინვალი, რომ რეიტინგები ჰქონოდა, თუმცა, მისივე განცხადებით, ამ რეიტინგის ამწეები „ევროპულ საქართველოში“ არ არიან.

# გიორგი ქობულაძე: „პოლიტიკაში დაბრუნება ჩემი საქმიანობის ძირითად გზად რჩება“



– დიდ ცვლილებებს არ ველოდები ამ არჩევნებში და ვფიქრობ, ისევე და ისევე ალბათ „ქართული ოცნება“ დარჩება, როგორც ძირითადი ძალა, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრმა, გიორგი ქობულაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „რეზიუმე“ განაცხადა.

როგორც ქობულაძემ აღნიშნა, ამ ეტაპზე მმართველ პარტიან უკეთესი პოლიტიკური ძალა არ არსებობს.

– მე „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრი ვიყავი და რაც ნამოვედი, მას შემდეგ, საკმაოდ ხმადასმული ვაკრიტიკებდი „ქართულ ოცნებას“ და დღესაც ვრჩები „ქართული ოცნების“ გარკვეული პრინციპების გამკრიტიკებლად, მაგრამ იმისთვის, რომ რაღაც უკეთესს მივაღწიოთ, გვჭირდება უკეთესი პოლიტიკური ძალა და მე ამ უკეთეს პოლიტიკურ ძალას დღეს, ვერ ვხედავ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. დიდი სურვილი შექნებოდა, იყოს ალტერნატიული ძალა,

რომელიც უკეთესობისკენ წაიყვანდა ქვეყანას, მაგრამ მგონია, რომ ასეთი ძალა არ არის.

ჩემი აზრით, ისევე „ქართული ოცნება“ დარჩება მმართველი ძალა. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდი უკეთესობა არ იქნება, იქნება ეტაპობრივი ტენდენციური განვითარება, მაგრამ მიმანია, რომ ეს სჯობს, ვიდრე უკუსვლა. მე რასაც ვუმეგნე, უმეტეს პოლიტიკურ ძალებს, პრაქტიკულად ყველას, მათი განცხადებები რეალობას არის მოკლებული, – განაცხადა ქობულაძემ.

რაც შეეხება მის პოლიტიკაში დაბრუნებას, როგორც ქობულაძემ განმარტა, ის პოლიტიკაში დაბრუნებას გეგმავს, თუმცა ამისთვის საჭიროა სწორი დრო და მომენტი. – მე შევეცადე, ჩემი გუნდი შემექმნა ცალკე, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა და დღესდღეობით ჩემს თავს ვერც ერთი ოპოზიციური გუნდის წევრად ვერ ვხედავ. შევეცადე, მიმელო მონაწილეობა პოლიტიკაში, მაგრამ ვერ დავინახე საკმარისი პირობები, რომ ჩემს ძალებს შევქმნილი შედეგი მოეტანა. ამჯერად, ვარჩივ, რომ თავი შემეკავებინა, თუმცა ეს რჩება ერთ-ერთ ჩემს ძირითადად გეგმად. მეტიც, მე ვიტყვოდი, რომ ჩემი შემდგომი საქმიანობის ძირითად გეგმად რჩება, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ იყოს სწორი პირობები და სწორი მომენტი, სწორი გუნდის შერჩევა და ამ გუნდის ნაწილად ყოფნა, ამ გუნდთან ერთად საქმიანობა.

ჩემი გადაწყვეტილი პოლიტიკური საქმიანობის არაკონსტრუქციული და დესტრუქციული გარემოში. არ მგონია, რომ სიკეთეს მოგვიტანს ის პროცესები, რაც ახლა ხდება. ამანაწინა, რომ ჩემი ტიპის პოლიტიკოსისთვის საჭიროა, ალბათ, უფრო დალაგებული პირობები, – აღნიშნა გიორგი ქობულაძემ.

**ახალი თარბა**  
**გამოცემის**  
**1993 წლის**  
**23 ივლისიდან**

**მთავარი რედაქტორი** – სოლო გოგინაშვილი  
**რედაქტორი** – ლალი ახლანიშვილი

საფინანსო სამსახური – ჯორჯ მალაფაძე  
 სარედაქციო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ მერიძე  
 გარეკვლების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

ვებგვერდი: [www.akhaltoba.ge](http://www.akhaltoba.ge) ელ.ფოსტა: [axtoba@mail.ru](mailto:axtoba@mail.ru)

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციის მიზანმიმართული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალები, სურათები და სარედაქციო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოყენებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# „სააკაშვილის და ივანიშვილის გაჩივებები“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ჯობია პოლიტიკოსებმა შექამონ ერთმანეთი, ვიდრე ხალხი შექამონ. აქამდე ხალხს ჭამდნენ“

### ნათია სურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პოლიტიკურ საუბრობას.

– ლაშა, ბევრი სკეპტიკოსი ამბობს, რომ ოპოზიცია ახლა ვერ შეთანხმებულა, როდესაც არც თანამდებობა აქვს, არც ძალაუფლება და როგორ აპირებენ შეთანხმებას თუ ეს საჭირო გახდება?

– თქვენ სკეპტიკოსები ასხენეთ, ეს ადამიანები სკეპტიკოსები კი არა მონები არიან. ისინი მიჩვეულები არიან, რომ ერთი კაცისა და მაქსიმუმ ერთი პარტიის ჭკუაზე იარონ. სადამდე მიგვიყვანა ამ ყველაფერმა, უკვე ვნახეთ შევარდნაძის მმართველობის დროს, სააკაშვილის დროს და ახლა ივანიშვილის მმართველობის ამ მარგალიტებს ვიპოვებ.

– თქვენ ამ კითხვაზე მარტივი პასუხი მაქვს: ჯობია პოლიტიკოსებმა შექამონ ერთმანეთი, ვიდრე ხალხი შექამონ. აქამდე ხალხს ჭამდნენ. მრავალპარტიულობის ხიბლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პარტიები კონკურენციის რეჟიმში ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ, უფრო მეტი მხარდაჭერა მოიპოვონ. ყველა ერთ აზრზე რომ იყო, მაშინ გვექონდა ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობა. ეს რომ არ გვინდოდა, ამიტომ ვიდევით ქუჩაში და ამიტომ დაგვჭირდა პროპორციული არჩევნების მოპოვება ლამის სიცოცხლის ფასად.

– ახლა არჩევანი ბევრად უფრო ფართოა და ამომრჩეველი თავის არჩევანს აუცილებლად გააკეთებს და ეს არჩევანი მრავალფეროვანი იქნება და სწორედ ამაშია ახალი პარლამენტის ხიბლიც.

– თუმცა, ამ ფონზე ოპოზიციაში არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება.

– ერთადერთი, სააკაშვილს ჰქონდა კიდევ ერთხელ მორიგ მესიაზე და ერთპარტიულობაზე გამოსვლა, რაც თავისთავად მოსალოდნელი იყო, რომ კრიტიკას გამოიწვევდა. თუმცა, ყველაზე უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ეპოქა წარსულს წაბარდა. ამ საზოგადოების, მათ შორის პოლიტიკოსების მთავარი მონაპოვარია, რომ გვაქვს შანსი პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რეალური მრავალპარტიული პარლამენტი და კოალიციური მმართველობა მივიღოთ. მმართველობის ეს ფორმა, მერნაშენეთ, გაცილებით მეტი დაზღვევაა თითოეული მოქალაქისთვის უკეთესი მომავლისთვის, ვიდრე მორიგი ლატარიის თამაში, მით უფრო, გათამაშებული ბილეთებით, იქნება ეს სააკაშვილი თუ ივანიშვილი.

– 80%-ზე მეტი გვყავს არჩეული პრეზიდენტები. ასეთი რამე ახალი საარჩევნო სისტემით გამოირცხვლება?

– ეს გამოირცხვლება. ის ბაქიბუქი, რაც გვესმის ივანიშვილი-საკაშვილისგან, რომლებიც ძალიან მკვანან ერთმანეთს ბევრ რამეში, მიუღწეველი, განუხორციელებელი სურვილებია. ბაქიბუქია და მეტი არაფერი. შეიძლება საკუთარი მოხრეხების, მეკითხოდით, ინდივიდუალური მომხრეების, ბელადომანების წახალისება და სხვა არაფერი.

– პრაქტიკულად, თეორიულ შანსსაც კი არ ტოვებს ეს კანონმდებლობა ერთპიროვნული, ერთპარტიული მმართველობისა და როგორ აპირებს ეს ხალხი ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლას, გაუგებარია. ამიტომ, მათი განცხადებები განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

– 60%-ის ალბანს აპირებს „ქართული ოცნება“.

– ეს არის გამოირცხვლი. ეს ზღაპრები

მოუყვნი არა საზოგადოებას, არამედ ერთმანეთს. როგორც უყვებოდნენ, მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც სახეზე მეორე ტური იყო. არათუ 60%-ის, მერნაშენეთ, 40%-ის ალბანს გაუჭირდება. იგივე შემთხვევაში ექვსი „ნაციონალური მოძრაობაზე“. ორივე პარტია იქნება მსხვილი პარტიების სახით წარმოდგენილი პარლამენტში, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ექნება იმდენი მანდატი, რომ მართლმადამართლებილი მთავრობა.

– თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, თავი რომ დავიზღვიოთ, ამისთვის მაინც არის საჭირო ამომრჩევლის მაღალი აქტიუობა არჩევნების დღეს. 70-80% ამომრჩევლის უნდა მივიდეს არჩევნებზე, რომ გაყალბების მინიმალური შანსიც კი არ დაუტოვოთ ივანიშვილს. ამ შემთხვევაში ივანიშვილი მართლაც დამთავრდება. მაღალი აქტიუობის შემთხვევაში მისი საქმე წასულია. ამით დაეასრულებთ ქვეყანაში ერთპარტიული ძალაუფლების მმართველობას.

– კოალიციური მთავრობის შემთხვევაში, პრემიერის კანდიდატურაზე შეთანხმებას როგორ აპირებს ოპოზიცია? უკვე ყველა პარტია ასახელებს თავის კანდიდატურას.

– კოალიციურ მთავრობას სირთულეები ახლავს და ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ ჯობია რთული გზა გავიაროთ, რათა კარგი შედეგები მივიღოთ, ვიდრე ადვილი გზა გავიაროთ და იგივე ჭაობში აღმოჩნდეთ. ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში რას ვიღებთ, რომ პარლამენტი დაიშალოს და რიგგარეშე არჩევნები დაგვჭირდეს. დიდი იმედები მაქვს, რომ ეს არ მოხდება. თუმცა, მორიგ ოთხნობიან ჯოჯოხეთს, რომელიც მრავალჯერ გავიარეთ, განა რიგგარეშე არჩევნები არ აჯობია?! თუმცა, დარწმუნებული ვარ, საქმე აქამდე არ მივა და პრემიერის კანდიდატურაზე შეთანხმება მოხდება არჩევნების შედეგების მიხედვით. მაინცდამაინც აუცი-



ლებელი არ არის პირველ ადგილზე გასული პარტიის ლიდერი იყოს ეს კანდიდატი.

– თუმცა, ასეთი რეალობა ალბათ დადგება და პირველ ადგილზე გასული პარტია დაასახელებს კანდიდატს. ასე არ ფიქრობთ?

– მე ვფიქრობ, გარკვეული კონსენსუსის საფუძველზე უნდა მოხდეს პრემიერის კანდიდატზე შეთანხმება. პირველ ადგილზე გასულა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, მაგრამ აპრიორი მისი კანდიდატი უნდა იყოს, ასე არ ფიქრობ.

# „მიზა თუ მონსტრია, ბოკერია 9 წელი მასთან როგორ გაქლო?“

## „ხელისუფლების მდგომარეობა მიიმდება“

### იაგო ნაცვლიშვილი

ბოლო ერთი კვირა თბილისის შორის ურთიერთობა თანდათან უფრო და უფრო იძაბება. „ევროპული საქართველო“ სააკაშვილს ერთპიროვნული მმართველობისკენ სვლაში სდებს ბრალს, თავად „ნაციონალური მოძრაობა“ კი აცხადებს, რომ „ევროპულმა საქართველომ“ წაშალა ერთიანი ოპოზიციური სიის ფორმირება.

ვინ იგუბს და ვინ აგუბს ამ ბოლემიკით და რა შანსი რჩება არჩევნების მოსაგებად თბილისი და რა შანსი ხელისუფლებას? – ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ვია ხუბაშვილი საუბრობს.

– ვხედავთ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ დისკუსიას, თუ გნებავთ სააკაშვილისა და ბოკერიას პოლემიკა ვუწოდოთ. რომელია ამ ვითარებაში სწორი და რომელი უშვებს პოლიტიკურ შედეგებს, რაც „ოცნების“ გამარჯვებას უწყობს ხელს?


– პოლიტიკურად ეს აბსოლუტური აბსურდია. ეს წამებებიანია. მით უმეტეს, როდესაც, ერთი მხრივ, მათი მიზანი ოპოპულსიანობის დარღვევაა, მაგრამ როდესაც სააკაშვილის ყველა გამოჩენაზე ისტერიკაში ვარდებიან, ამით ოპოპულსიანობას კი არ არღვევენ, არამედ ეხმარებიან. თუ ადრე ოპოპულსიანობის სურვილი მოდიოდა ხელისუფლებიდან, ახლა თავისდაუნებურად მათგან მოდის. ამით ისინი ფაქტობრივად არწმუნებენ მოსახლეობას, რომ ან ბიძინა ან მიშაო და მიშა თუ გამოჩნდა, დავიღუპებითო. ვისაც მიშას გამოჩენა დალუპვად მიანია, ის დიდი ხანია არ აძლევს ხმას, მაგრამ ვინც ყოყმანობს და ბიძინა არ მოსწონს, იმას არწმუნებენ, რომ ბიძინას დამარცხებელი ერთადერთი მძლეობაა მისი ხელი სააკაშვილია.

– ანუ რა გამოდის, თუ აქამდე პოლარიზაციას ახდენდა „ოცნება“ და ივანიშვილი, ახლა ეს დაიწყო მიშაზე და თავისი განცხადებით სხვა ოპოზიციური პარტიებიც ხელს უწყობენ ამ პროცესს?

– რა თქმა უნდა. მიშამ დაიწყო, მაგრამ მიშას ამ გამოცვლებზე ნაკლები ყურადღება რომ ყოფილიყო, არც არაფერი არ მოხდებოდა.

– რასაც არ ეთანხმებიან, ამაზე რეაქცია არ უნდა ჰქონდეთ?

– რეაქცია შეიძლება უნდა ჰქონდეთ, გააკეთონ მოკლე შეფასება და გაჩერდნენ, მაგრამ ვხედავთ, რომ ერთი კვირაა არ ჩერდებიან. სულ მაგაზე ლაპარაკობენ. ამას ვიღაც სხვა რომ აკეთებდეს, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ რო-



„თქვენი გაზეთის მეშვეობით ასე გადავცემ ჩერგოლეშვილს, რომ მის ნარატივში ყოფნას, ტყემლის ხეზე ყოფნა მირჩევნია“

დესაც მიშას უშიშროების საბჭოს მდივანი და მიშას ხელისუფლების წარმომადგენელი ლაპარაკობს, რომ მიშა რაღაც მონსტრი და ერთპიროვნული მმართველი ყოფილა, ხომ გაუჩნდებათ კითხვა, თუ ასეთი იყო მიშა, 9 წელი რამე გაგაძლებინათ მასთან ერთ გუნდში?! ეს არის რეალური აბსურდი და არაფრის მომჭანია.

– თუ ბოკერიას აქვს ილუზია, რომ ხალხი იფიქრებს, ყველაფერს მიშა აშავებდა, და თბილისი ქუჩაში და თავებს აჭრიდა ყველას და თვითონ გიგა ბოკერია თეთრი და ფაფუკი იყო იმ პერიოდში, ეს ხომ ძალიან არასერიოზულია. არის საპროტესტული საზოგადოება მიშას მიმართ და ვისაც მიშა არ უყვარს, იმას ბოკერიაც არ უყვარს და არასოდეს არ შეუყვარდება.

– თუმცა, მეორე მხრივ, ბოკერია ალია-რებს, რომ ბევრი რამე არასწორად გააკეთეს და ბევრი რამე დააშავეს და ა. შ.

– იცით რა არის? ქართულ პოლიტიკაში სიტყვების არავის არ სჯერა. თუ ამბობს, რომ ის იღებს რაღაც პასუხისმგებლობას, მინიმუმ, პაუზა მაინც გააკეთოს. ამბობს, რომ რაღაცები ცუდად გაგაკეთეთ და მოდი ხელისუფლებაში ისევ მე მოვალო, ეს არადააჯერებელია.

– პაუზა როგორ უნდა გააკეთოს? დროებით პოლიტიკიდან წავიდეს?

– რაღაცა ცოტა პატარა პაუზა ხომ მაინც უნდა გააკეთოს?! პასუხისმგებლობა რაში გამოიხატება, სიტყვებში?!

– როგორც თავად ამბობს, იმაში გამოიხატება პასუხისმგებლობა, რომ სიტყვა შეცვალოს.

– კი, მაგრამ, დამაჯერებლობა აქვს ამ სიტყვებს. თუ ის ცხრა წელი არ გინდოდა, ახლა რითი მაჯერებ, რომ გინდა ცვლილებები. რაში გამოიხატება, რომ პასუხისმგებლობას გრძნობ? 1-2 მათგანს მაინც გადაგეჭირა საკუთარი თავისთვის და წასულიყო თუნდაც სამი თვით.

– განსვავებას ვერ ხედავთ, როდესაც ბოკერია ამბობს, რომ მრავალპარტიული კოალიციით უნდა იმართდეს ქვეყანა, ხოლო მიშა არჩევნებს აყენებს ან მე, ან ბიძინაო?

– კი, მიშა ოპოპულსიანობას თამაშობს, მაგრამ სხვა პარტიების ამოცანა რა არის? საქართველოში მოსვლა არ არის? ვაშაძე რომ ამბობს პრემიერი მე უნდა ვიყო, მას ამის თქმის მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე მიშა სააკაშვილს?! პარტია იმისთვის იქმნება, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს. საარჩევნო კამპანიის დროს ყველა ცდილობს, რომ მისკენ მოიზიდოს ამომრჩეველი, შესაბამისად ყველა უნდა ასხივებდეს, რომ ის მოდის ხელისუფლებაში. კოალიციებზე ლაპარაკი უკვე მოსტასარჩევნო პერიოდში იქნება.

– დიდი ბოდიში, მაგრამ ვინმეს აქვს იმის ილუზია, რომ სააკაშვილს მართლა ჰგონია, რომ 50%-ის აიღებს არჩევნებზე?! არ ჰგონია! მაგრამ ასეთია პოლიტიკოსი და ერთპიროვნული პარტიაც კი იმას ამბობს, რომ ხელისუფლებაში მე მოვიდვარო. თქვენი აზრით, ვაშაძეს ამის თქმის მეტი საფუძველი აქვს, ვიდრე სააკაშვილს, რომ ის უნდა იყოს პრემიერი.

– არა, ასე ნამდვილად არ ვთვლი.

– ეს არის პოლიტიკური ლოგოა. სააკაშვილი იდიოტი არ არის და მან იცის, რომ ექსკლუზიურად ხელისუფლებაში ვერ მოვა, მაგრამ ლაპარაკობს როგორც პოლიტიკოსი და ცდილობს, რომ რაც შეიძლება თავისი პარტიისკენ მოქაჩოს მეტი ხმები და მრავალპარტიულობასა და კოალიციაზე ილაპარაკონ მოსტასარჩევნო პერიოდში.

– რა უნდა გააკეთონ ოპოზიციურმა პარტიებმა მაშინ, როცა ეკითხებიან, დაუჭერენ თუ არა სააკაშვილის პრემიერობას მზარდ?

– დიდი ბოდიში, მაგრამ რატომ არის ამაზე ლაპარაკი ახლა საჭირო. მოუტელავი დათვის ტყავზე დღეს რატომ უნდა იყოს ლაპარაკი?! საშიშნე ხომ ხელისუფლების დამარცხებაა?! უნდა თქვან, რომ დღეს რა დროს ამაზე ლაპარაკია. თუ ოპოზიციას ექნება მთავრობის დაკომპლექტების საშუალება, ამაზე მერე ვილაპარაკებთ ვინ პრემიერი უნდა იყოს, ვინ პარლამენტის თავმჯდომარე, ვინ შს მინისტრი და ა. შ., ეს უნდა თქვან. ეს არის ხაფანგი. ამ იდიოტური პოლემიკით კომფორტს უქმნიან ხელისუფლებას. ახლა „ოცნებას“ სრული კომფორტი აქვს და ესენი მოუტელავი დათვის ტყავს იყოფენ. რა შუაშია ეს? ვაშაძე რომ ამბობს, მე უნდა ვიყო პრემიერი, ამაზე რატომ არ აქვთ რეაქცია?!

– ყველაზე მსხვილი პარტიის ლიდერი ასევე ვერ მოიგებს არჩევნებს და ეს ჩანს ყველა კვლევით. როდესაც ეს პარტია ამბობს, რომ ჩვენი ლიდერი უნდა იყოს პრემიერი და ამით ახდენს

ამომრჩევლის მობილიზებას, ეს რატომ არის აპოკალიფტური ნათქვამი.

– ამ ფონზე ოპოზიციას არჩევნების მოგების მიზერული შანსი რჩება?

– არა, შანსებზე არ ვილაპარაკებ. ჩვენ ვილაპარაკებთ ოპოზიციის პრობლემებზე, მაგრამ ხელისუფლებასაც ბევრი პრობლემა აქვს. პანდემიის მართვასთან რა კოზირებიც ჰქონდათ, კარგავენ. კრიზის მენეჯმენტთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვთ. შემდეგ 2 კვირაში ეს პრობლემები კიდევ დამძიმდება, რადგან ფაქტობრივად კონტროლს კარგავენ უკვე. აქვთ არის და ლარი გარბის და ამდენი იმპორტკარია, ცხოვრება ძვირდება... ასე რომ, ვითარება ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

– კი ბატონო, ამ სისუფლებების გამო, ხელი-სუფლების მოზიციები ძლიერია, მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეს არჩევნების ბუდი წაღება გადაუწყვეტელი ამომრჩევლის მიერ. საით გადაიხრება სასწორის პინა, ის მხარე იქნება გამარჯვებული.

– ხაზარაძე ამბობს, რომ 25%-ს აცდები გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ხარჯზე. რეალურია ეს?

– დღის მდგომარეობით ეს ასე არ არის და ვერც იქნება. ეს კვლევები მართლა ასე კი არ ყალბდება. დღევანდელი არჩევნების უნიკალურობა იმაშია, რომ ამდენი რეალურად გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა არასოდეს არ ყოფილა საქართველოში. ის კი არა, რომელიც არ ამბობს, რაც ალოკაციით ირკვევა, არამედ არ იცის ვის მისცეს ხმას. მათ გარეშე ხელისუფლებაში ვერავინ ვერ მოვა.

– პირადად თქვენი მოლოდინი როგორია?

– ვითარება ბუნდოვანია. ხელისუფლებას აქვს უპირატესობა და შანსი შეინარჩუნოს ძალაუფლება კორნაიჯერუსიდან გამომდინარე, მაგრამ ეს შანსი არ არის აბსოლუტური. შესაძლოა ამ ერთ თვეში ხელისუფლების მდგომარეობა ძალიან დამძიმდეს. ხედავთ, რომ აჭარა წითელი ზონაა, ველარ იღებენ გადანაცვლებებს. 3 მუშაკეტერი, 3 მუშაკეტერი, მაგრამ ველარ ლეზულობენ გადანაცვლებებს. მთელ საქართველოში რომ აჭარის სცენარი განვითარდეს, ხელისუფლება კრიზისმენეჯმენტის მითი ხომ დაინგრევა?! ამას რა მოყვება, დატოვებს ამომრჩეველი ხელისუფლებას? – არ დატოვებს.

– თამარ ჩერგოლეშვილმა მოგიძღვნათ პოსტი და თქვა, რომ ვინ ხუბაშვილი ვინმემ ჩამოსვას ტყემლის ხიდანო. თუ უპასუხებთ მას?

– თქვენი გაზეთის მეშვეობით ასე გადავცემ ჩერგოლეშვილს, რომ მის ნარატივში ყოფნას, ტყემლის ხეზე ყოფნა მირჩევნია ნამდვილად.

**შუპიკან**  
ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნანატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.  
ტელ.: 598-43-98-57



# „ხალისუფლება აღვოკატთა ინსტიტუტს აფთქებს!“

## ნიკოლოზ მუჯანაძე: „37 წელში რომ არ მომხდარა, ისეთი რალაც ხდება. დღეს თუ ეს გავატარეთ, ხვალ მოვლენ და სახლებში დაგვიყენებენ მოსასმენებს. თუ რამე ეჭვები აქვთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადვოკატის უფლებები შელახონ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მუჯანაძე პასუხობს.

**– ბატონო ნიკოლოზ, ბოლო პერიოდი აქტიურად საუბრობენ ადვოკატების შევიწროებაზე. რა ხდება, რაში გამოიხატება ეს შევიწროება?**

– ეს ბოლო ფაქტი, რაც მოხდა, ბაჩალიშვილის საქმის ადვოკატთან დაკავშირებით, როცა მისი მობილური ამოიღეს, ეს იყო გაუგონარი რამ, სრული უმსგავსოება!

**– სასამართლოს განჩინება გვექონდაო. არ ჰქონდათ ამის უფლება?**

– მერე რა, რომ სასამართლოს განჩინება ჰქონდათ. ჯერ იმ მოსამართლის კომპეტენციასა და მის ობიექტურობაში ჩნდება ძალიან დიდი კითხვის ნიშანი, ვინც ეს დააკმაყოფილა. იცით რა ხდება, ამ კონკრეტული მასალის გარდა, მის ტელეფონში არის უამრავი კონფიდენციალური ინფორმაცია. ჩვენ, ადვოკატებს, ჟურნალისტებს, სასულიერო პირებს, გვაქვს უფლება, არ გავამულაუნოთ ჩვენთვის მონოპოლიზებული ინფორმაცია. რომდესაც შენ ამას ამსხვრევ, ამით ირღვევა მთელი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონით მონიჭებული უფლებები. შენ ამით ადვოკატის ამ პრივილეგიას, კანონით მინიჭებულ ამ უფლებებს ლახავ. ამით ფაქტურად ადვოკატობის ინსტიტუტი ინგრევა.

**– ამ ფაქტით სწორედ ამის პრეცედენტი შექმნება?**

– რა თქმა უნდა. ადვოკატის პირად ტელეფონში არის უამრავი ინფორმაცია, გარდა იმ ბაჩალიშვილის საქმისა. იქნებ სულაც ძებნილებს იცავს, რომლებიც საზღვარგარეთ არიან. ამ ყველაფერს ნახავს პროკურატურა და ამ ხალხს უკვე სერიოზული პრობლემები შეექმნება. ასევე სხვა საქმეებზე შეიძლება იყოს ინფორმაცია, ასევე ოჯახის წევრებზე. მოკლედ, ამით ამ ადვოკატის კლიენტები დაღუპულები არიან, ის კლიენტები, რომლებმაც მათ მიანდეს საკუთარი თავი, მათი ბედი. ეს იგივეა, მღვდელი დაიბარო და აიძულო გითხრას, აღსარებაში რა უთხრა ამა თუ იმ პირმა, ან სულაც აღსარების დროს მიაყურაო?  
**– რატომ წავიდა ამაზე პროკურატურა?**



– ისინი ფიქრობდნენ, რომ მტკიცებულებები ფალსიფიცირებული იყო. ჯერ ერთი, ფურცვანიძემ განაცხადა, რომ მე გადავეცი ეს ინფორმაციაო. ანუ, ფაქტურად მოისპო ის ვერსია, რომ ადვოკატმა გააყალბა. რადგან თუ ფურცვანიძემ გადასცა, გამოდის, რომ რამიშვილს არ გაუყალბებია. ამ კაცს მიზანმიმართულად ხომ არ გაუკეთებია? და ასეც რომ იყოს, ამას დამტკიცება უნდა, რომ ნამდვილად მიზანმიმართულად გააკეთა. არავითარი აუცილებლობა არ იყო მობილურის ამოღების! ფურცვანიძე რომ დაიკითხა სასამართლოში, ღიად თქვა, რომ მე მივანდობო.

**– მაშინ რა მოხდა, რატომ ამოიღო?**

– რა მოხდა და მიზანმიმართულად მიდის ადვოკატთა კორპუსის ჩამოშლა. ხვალ და ზეგ, თითოეული ადვოკატი იმის შიშში უნდა იყოს, რომ ხმა არ ამოიღოს, რადგან მას ასეთ რამეც გაუკეთებენ. მაშინ ადგენენ და ყველა მასობრივად გვაკონტროლონ და გვისმინონ. ის პრინციპი, რომ ჩვენ არ უნდა დავასახელოთ წყარო, კონფიდენციალურობა უნდა დავიცვათ, ეს ყველაფერი აზრს კარგავს თუ ასე შეგვიმონებს და გავიწიხრებენ პირადი ნივთები. საერთოდ რაღა აზრი ექნება ჩვენს მუშაობას თუკი პროკურატურამ მოიმინა, კლიენტს რას მელაპარაკება, მე ამ

პირობებში როგორ მოვახერხო მისი დაცვა?!

**– ძალიან ცუდი პრეცედენტი შეიქმნა?**

– რა თქმა უნდა. ზოგი გამოსხა და უაზრო განცხადებების კეთება დაიწყო, რამიშვილი ნაცვითან არის შეკრულიო, ეს საერთოდ რა შუაშია? შეიძლება სულ არ მოგვინდეს ეს პიროვნება, მაგრამ ადვოკატთა ინსტიტუტს ეხება საქმე. ადვოკატის ინსტიტუტის აფეთქება ხდება! მსგავსი რამ მსოფლიოში არსად არ მომხდარა. ამის გამართლება იმითი, რომ ის აყალბებდა, ეს არასწორია. თუ აყალბებდა, ამისთვის ტელეფონის ამოღება სულ არ სჭირდებოდათ, შეეძლოთ ისე დაესაბუთებინათ.

**– გაყალბების შემთხვევაში?**

– ვიმეორებ, ამ შემთხვევაში გაყალბება არ ყოფილა, რადგან ფურცვანიძე აცხადებს, რომ მე მივეციო. ერთი რამ ცხადია, ამ გადაწყვეტილებით ბევრი სხვა ადამიანი დაიღუპებოდა, რადგან, თავად აცხადებს რამიშვილი, რომ ბევრი სხვა ინფორმაცია ინახებოდა მის ტელეფონში. ამით უნდათ მორჩილი ადვოკატები, ისეთები, რომლებიც არაფერზე ხმას არ იღებენ. როგორც ჰყავთ ძალიან ბევრი, გვარს და სახელს არ დავასახელებ. ასე მარტივად არ ჩაივლის ეს ამბავი! ეს ნიშნავს, რომ აღარ უნდა ვიშუაოთ. სააკაშვილის დროს, ბევრმა სისხლის სამართლის ადვოკატმა გააჩერა მუშაობა იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო სამართლის პოვნა.

**– ესენიც მიშას გზას ადგანან?**

– ზუსტად იგივე უნდათ ამათაც. ჩვენ ევროპის საბჭოში ვაგავინით წერილს და ამას სერიოზული რეაქციები მოჰყვება. მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა ვაცნობოთ, ჩვენს ქვეყანაში რაც ხდება.

**– სისხლისამართლებრივ დევნას ხომ არ დაიწყებენ რამიშვილის წინააღმდეგ?**

– რადგან ეს გააკეთეს, მაგათგან ყველაფერი ამოსალოდნელი. ეს ხელისუფლების გადაგრესის მცდელობა და ეს მეთოდები ჩემთვის გაუგებარია. საერთოდ ისეთი რალაცები ხდება, რომ მე მგონი, ამ ინსტიტუტის გაუქმება უნდათ. სერიოზული პროტესტი მოყვება ამ ყველაფერს, ეს დამიხსოვრს! გუშინაც გავმართეთ აქცია და არ გავჩერდებით ვერ დაგვაშინებენ და ვერ გავგაჩუშებენ. ამას არავინ გადაელაპავს! ფაქტია, რომ ეს მტკიცებულებები რამიშვილს არ გაუყალბებია.

**– თუკი დაუმტკიცეს, რომ რამიშვილიც გაყალბების მონაწილეა, მაშინ რა მოხდება?**

– ჯერ ერთი, ეგ თუ მოხდა და რალაცა

დამტკიცდა, ტელეფონის ამოღების უფლება არავის არა აქვს. თუ არის გაყალბებული, ეს ტელეფონის ამოღების გარეშე უნდა მომხდარიყო. თუ ეს ერთი გაუვიდათ, როცა მოუხდებოდა, ჩვენს ტელეფონებსაც მაშინ ამოიღებენ. ასე როგორ უნდა დავიცვა კლიენტები? ჯერ ეს გადანიშნული უნდა იყოს, იმით ადვოკატები არ სჭირდებათ?! ხვალ და ზეგ შესაძლოა მათ დასჭირდეთ ადვოკატი, ამაზე რატომ არ ფიქრობენ?! არაერთი პროკურორი გვინახავს ციხეში წასული. ადვოკატი ისეთი რამეა, როგორ ექიმი, ის ყველას სჭირდება. ახლა რაც ხდება, ეს არის ადვოკატთა ინსტიტუტის აფეთქება. 5 ათასი ადვოკატია საქართველოში და სასწაული რალაც მოყვება ამ ყველაფერს. გაიგზავნება წერილი საერთაშორისო ინსტიტუტებში, საერთოდ არ გავალი პროცესებზე, ბოიკოტი იქნება სერიოზული.

**– ანუ სერიოზული პროტესტი იგეგმება?**

– სხვა გზა გვაქვს? 37 წელში რომ არ მომხდარა, ისეთი რალაც ხდება. დღეს თუ ეს გავატარებთ, ხვალ მოვლენ და სახლებში დაგვიყენებენ მოსასმენებს. თუ რამე ეჭვები აქვთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადვოკატის უფლებები შელახონ! აქ კიდევ ერთი რამ ხდება...

**– რა?**

– ძალიან უწყებებში ძალიან ბევრი ნაცია დარჩენილი. როდესაც ამდენ უკანონობას ჩაიდან და მთელ ადვოკატთა ინსტიტუტს ანგრევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამის გამკეთებელი, სწორედ ამ ხელისუფლებას უთხრის ძირს ამ სულელური გადაწყვეტილებებით.

**– საბოლოო ანგარიშს ვიღაც, შიგნით, პროკურატურაში?**

– ზუსტად ასეა. ჰყავდეთ ეს კადრები და ძირს რომ გამოუთხრიან, ნახავენ. ჯერ ხომ სარალიძის საქმეზე გამოუთხარეს ძირი და ლამის მთელი ხელისუფლება გადაყვა ამ ამბავს. ახლაც, მთელი ადვოკატთა კორპუსი უნდა გამოვიდეთ, რომ მიხედნენ, რა უკანონობას აკეთებენ?! შოთაძემ ერთხელ კინაღამ ჩამოშალა ეს ხელისუფლება და ახლა, მეორეჯერაც იგივეს აკეთებს. ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი. ეს მარტო ადვოკატებს არ ეხება, ეს მთელ ქვეყანას ეხება. ხვალ და ზეგ დაუცველი დარჩება მთელი ქვეყანა. სანამ დროა, დაფიქრდეს ეს ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი თუ რას უკეთებენ მათ, ეს ვითომ ნდობით აღჭურვილი პირები ამ თავისი გადამწყვეტილებებით! სერიოზული ნაღმი ჩადეს და ამით საკუთარ თავს თვითონვე გაუზღაბინებენ!

# ოკუპირებულ აფხაზეთში აკრძალულია ავტომატული იარაღების გამოყენება

## სოხუმის სკოლა, სადაც კოვიდ-19-ით პედაგოგი გარდაიცვალა, დროებით დაიკეტა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება მოსალოდნელი იყო და ეს მოხდა კიდევ.

აფხაზეთში საზღვრის გახსნის შემდეგ რუსეთიდან მრავალად შემოსულ დამსვენებელსა და ტურისტს არავინ აკონტროლებდა.

ოკუპირებული რეგიონი მოუშვადებელი შეხვედა ტურისტული სფეროს აღდგენას მას შემდეგ, რაც რუსეთმა ფსოვზე საზღვარი გახსნა. ამის პასუხად იგივე გააკეთა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ.

დღეს ითვლება, რომ კორონავირუსის მეორე ტალღა აფხაზეთში 22 ივლისიდან დაიწყო. ამას ხელი არ შეუშლია რუსი ტურისტების აფხაზეთში ყოფნისათვის. 1 სექტემბერს დაიწყო სასწავლო პროცესიც. დაავადებულთა რიცხვმა დაანარჩენი საქართველოს მსგავსად, აქაც ბოლო დღეებში მიაღწია.

ორი კვირით დაიკეტა სოხუმის ბაგრატი შინკუბას სახელობის პირველი საშუალო სკოლა. ამ სკოლის პედაგოგი კოვიდ-19-ით გარდაიცვალა. სოხუმელ მასწავლებელს, რომელსაც ქრონი-

კული დაავადებაც ჰქონდა, ენგურგამოღმა მკურნალობდნენ, მაგრამ ვერ უშველეს. მისი გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მაშინვე გავრცელდა.

გარდა ამისა, კორონავირუსის გამო კარანტინში იმყოფება ამავე სკოლის 7 მასწავლებელი. ინფიცირებული არიან მოსწავლეებიც.

კორონავირუსისაგან მოსახლეობის დაცვის საკოორდინაციო შტაბის გადაწყვეტილების საფუძველზე დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბუაჩიამ გამოცხადებულა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ახალი ზომების მიღების შესახებ.

კერძოდ, 5 ოქტომბრიდან ისევ აიკრძალება მასობრივი სპორტული, გასართობი და საგამოფენო ღონისძიებები დაწესებულებებში, ასევე – ქორწილები, ქეღებებსა და პანაშვიდებზე შეიზღუდება შეკრებილი ხალხის რაოდენობა. ყველა ბაზრობასა და ბაზარში ჩატარდება ყოველდღიური დეზინფექცია. იგივე სამუშაო ჩატარდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სალონებსა და სკოლებში, საბავშვო ბაღებში.



აფხაზეთი მედიკოსების ნაკლებობას განიცდის

სავალდებულო იქნება დამცავი საშუალებების-ნიღბებისა და ხელთათმანების ტარება.

15 ოქტომბრიდან სამედიცინო დაწესებულებებში იხსნება იზოლირებული სივრცეები კოვიდ-19-ით ინფიცირებულებისათვის.

აფხაზეთის დე ფაქტო ფინანსთა სამინისტროს დაევალა გამოყოფა დამატებითი თანხები ამ ღონისძიებებისათვის.

ეს დიდად დააზარალებს აფხაზეთის ბიუჯეტს, რომელსაც მუდმივი პრობლემები აქვს, ბოლო თვეებში კი აფხაზეთი ფინანსური კრახის წინაშე დგას.

აფხაზეთის მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ სკოლები სადღეისაფიცოდ სახსრებს მშობლებს ანერენ.

აფხაზეთი აქამდეც განიცდიდა სამედიცინო პერსონალის დეფიციტს. აფხაზეთი მედიცინის ცნობით, გუდაუთის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოვიდ-ის განყოფილებას ბრიგადები აკლია. ექიმები იქ სამორიგოდ არ მიდიან. ამის გამო საჭირო 9 ბრიგადის ნაცვლად 4 მორიგეობს.

სექტემბრის ბოლო დღეები საქართველოსთვის აფხაზეთის დროებით ჩამოშორებასთან ასოცირდება, აფხაზეთში კი გამარჯვებას უეინობენ. ეპიდემიამ ამაზე გავლენა უკვე მოახდინა.

ორგანიზაცია „აფხაზი ქალები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის“ მიმართავს ხელმძღვანელობას, გააზრებულად აღნიშნოს გამარჯვების ზეიმი, რათა საფრთხეში არ ჩააგდოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი აფხაზეთის 1992-93 წლების ომის ვეტერანების ჯანმრთელობა.

# ნიკა მელია: „წლევანდელი არჩევნები გაბონებს 2012 წელს“

– 31 ოქტომბერი არის არჩევნები, რომელმაც კვლავ უნდა დაგვავყენოს განვითარების გზაზე. სამწუხაროდ, მილიარდერი ადამიანის ხელში მოსახლეობა კიდევ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.



ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ პრესკონფერენსაზე განაცხადა.

მისივე თქმით, გააჩნია მოლოდინი, რომ წელს ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას ოპოზიციის გაისტუმრებს.

– მე ვფიქრობ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი გუნდი არის საკმაოდ კონკურენტუნარიანი. გუნდი, რომელიც იბრძობს ამ ქვეყნის გამარჯვებისთვის და ჩვენი შვილების, შვილიშვილების, მომდევნო თაობებისთვის უკეთესი ქვეყნის დასაბრუნებლად.

2012 წელს, როდესაც წინა ხელისუფლებას შანსი აღარ ჰქონდა ხელისუფლების შენარჩუნების და ხალხმა საარჩევნო უბნებთან მშვიდობიანი რევოლუცია მოუწყო. მიმდინარე წელსაც მაქვს მოლოდინი, რომ ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხი გაისტუმრებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას ოპოზიციისადმი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

31 ოქტომბერი არის არჩევნები, რომელმაც კვლავ უნდა დაგვავყენოს განვითარების გზაზე. სამწუხაროდ, მილიარდერი ადამიანის ხელში მოსახლეობა კიდევ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუკი იყო ღარიბი, აბსოლუტური უმრავლესობა გაღატაკდა, 800.000-მა ადამიანმა ქვეყანა დატოვა და აბსოლუტურად უიმედოდ არის ბევრი დარჩენილი.

ცვლილებების დროა და ეს ცვლილებები იქნება გარდაუვალი. წლევანდელი არჩევნები მაგონებს 2012 წელს, როდესაც წინა ხელისუფლებას შანსი აღარ ჰქონდა ხელისუფლების შენარჩუნების და ხალხმა საარჩევნო უბნებთან მშვიდობიანი რევოლუცია მოუწყო. მიმდინარე წელსაც მაქვს მოლოდინი, რომ ერთ მუშტად შეკრული ქართველი ხალხი გაისტუმრებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას ოპოზიციისადმი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

# ქობულეთში სამკერვალო ფაბრიკის 5 თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა

ქობულეთში სამკერვალო ფაბრიკის, აჭარა ტექსტილის 5 თანამშრომელს კორონავირუსი დაუდასტურდა.



სანარმოს დირექტორი გია ლომინაძე აცხადებს, რომ ინფიცირების წყარო უცნობია.

მისი თქმით, შენობაში სადღეისაფიცოდ სამუშაოები უკვე ჩატარდა.

– ჩვენს 5 თანამშრომელს დაუდასტურდა კორონავირუსი. ინფიცირების წყარო ჩემთვის უცნობია. ფაბრიკაში ჩატარდა დეზინფექცია და პროტოკოლი გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. ყველა თანამშრომელს ჩატარდა ტესტირება. პასუხების ნაწილი ცნობილია და მხოლოდ ხუთი და-

დასტურებული შემთხვევაა. ტესტირების პასუხებს კიდევ ველოდებით, დღეს გვიან ღამით უნდა იყოს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია.

სანარმო 5 დღე დაკეტილი იყო. დღეს დავიწყეთ მუშაობა, ოღონდ ნაწილობრივ, მხოლოდ ის თანამშრომლები გამოვიდნენ სამსახურში, ვისი ტესტის პასუხიც უკვე ცნობილია და უაზროფითაა. ხვალ საბოლოოდ გავიყვანო ყველა ტესტის პასუხს და სანარმო სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას. ფაქტობრივად, 24 სექტემბერს გაიხსნება აჭარა ტექსტილი, – აცხადებდა გია ლომინაძე.



# „ალუდა გოგლიჩიძე კალაძობს კალზე და შვილებს არ მანახვებს“

განათლების მინისტრის ყოფილ მოადგილესა და ყოფილ ვიცე-მერს ძალადობაში ადანაშაულებენ. ალუდა გოგლიჩიძის ყოფილი მეუღლე ბავშვების წართმევას აბრალებს. კავკასიის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანის წინააღმდეგ მისი მეუღლე საუბრობს.

თეონა ამბობს, რომ ყოფილი მეუღლე მას ბავშვებს არ ანახვებს. მათი საერთო 12 წლის შვილი 3 წელია, რაც მამასთან ცხოვრობს და ის დედის ნახვის სურვილს არ გამოთქვამს. თეონა ჯულუხაძე ბავშვის ამ გადაწყვეტილებას ფსიქოლოგიურ ძალადობას აბრალებს.

– განათლების სისტემაში არის ადამიანი, რომელიც ძალადობს ქალზე და ბავშვებზე, ეს გახლავთ ალუდა გოგლიჩიძე. მე ვარ დედა, რომელიც უბრალოდ ვითხოვ ჩემი შვილების დაბრუნებას და გავაკეთებ აბსოლუტურად ყველაფერს ამ შეუძღვარი სისტემის და მოხალადად მამის წინააღმდეგ, რომ მე ჩემი შვილები უკან დავიბრუნო, – ამბობს თეონა ჯულუხაძე „მთავარ არხთან“ საუბრისას.

ყოფილი ცოლ-ქმარი შვილებზე ორი წელია დავობს. „მთავარი არხი“ ალუდა გოგლიჩიძეს დაუკავშირდა, რომელმაც შეხვედრებზე უარი განაცხადა, თუმცა მასთან სატელეფონო

## რას ითხოვს თეონა ჯულუხაძე

ინტერვიუს ჩანერა მოხერხდა. ბავშვების მამა სულ სხვა ვერსიას საუბრობს. ალუდა გოგლიჩიძე პოლიტიკური პარტია „შენების მოძრაობის“ წევრია და სწორედ ამიტომაც ყოფილი მეუღლის ბრალდებებს პოლიტიკურ კონტექსტს უწოდებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლიდან ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის – თეონა ჯულუხაძის საცხოვრებელი სახლი განისაზღვრა. თუმცა, რადგან ერთ-ერთი ბავშვის სურვილი მამასთან ცხოვრება იყო, ალიმენტის გადახდა დედას დაეკისრა. ალუდა გოგლიჩიძე კი მცირეწლოვანი ბავშვის ალიმენტს იხდის. თეონა ჯულუხაძე ამბობს, რომ მისმა ყოფილმა მეუღლემ ფსიქოლოგიური ძალადობა 7 წლის ბავშვზე დაიწყო და სასამართლოს გადაწყვეტილება დაარღვია.

თეონა ჯულუხაძე იმ ძალადობაზეც საუბრობს, რომლის მსხვერპლიც კორნინებაში ყოფნის დროს 17 წლის მანძილზე იყო. ერთ-ერთი ასეთი ძალადობის შემდეგ ალუდა გოგლიჩიძეს შემაკაველი ორდერი გამოეწერა.



მან დახმარების მიზნით სახალხო დამცველს მიმართა. ბავშვების უფლებების დასაცავად სახელმწიფომ სოციალური სამსახური ჩართო, თუმცა ორივე მშობელი მათ არასათანადო მუშაობაზე საუბრობს.

## ფონიჭალაში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებლო ღონისძიებების შედეგად, ფონიჭალის დასახლებაში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1986 წელს დაბადებული ნ.ა., 1973 წელს დაბადებული ი.ა., 1987 წელს დაბადებული კ.ა., 1996 წელს დაბადებული ა.გ., 1967 წელს დაბადებული დ.ფ., 1976 წელს დაბადებული ს.გ., 1999 წელს დაბადებული ვ.გ., 1979 წელს დაბადებული ვ.ა., 1971 წელს დაბადებული ფ.ა., 1985 წელს დაბადებული რ.ნ. და 1999 წელს დაბადებული ე.გ.

დაკავებულებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა-გასაღება ედებათ ბრალად.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდნენ.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისაგან ნარკოტიკული საშუალება „პეროინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიოვიდეოჩანჩქი.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „პეროინი“, ფული და მობილური ტელეფონები ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა-გასაღებას გულისხმობს.



## ჭაჭაჭაძე ავტობუსი ახალგაზრდა ქალს დაეჯახა

22 სექტემბერს ღამით, ჭაჭაჭაძის გამზირზე ავტობუსი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა. ახალგაზრდა ქალი, სავარაუდოდ, ქუჩის შუაში მდებარე ავტობუსის გაჩერებაზე გადადიოდა. შემთხვევის შედეგად დაშავდა ავტობუსში მყოფი ქალიც. სასწრაფო სამედიცინო ჯგუფმა ორივე დაშავებული კლინიკაში გადაიყვანა.

ჭაჭაჭაძის რეაბილიტაციის შემდეგ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც შეჯახებით ავარია ხდება. იყო შემთხვევა, როცა ავტომობილი გზის სავალი ნაწილის შუაში დამონტაჟებულ ბორდიურზე შეჯარდა.

## პროკურატურაში შემოკანდუმი გაფორმდა

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო ქადაგიძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს.



საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ შეხვედრას ასევე ესწრებოდა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ნატალია ვუტოვა.

მხარეებმა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, ერთიანი სტატისტიკის წარმოება ყოველთვის იყო

გამოწვევა თითოეული უწყებისთვის. მისი თქმით, აღნიშნული მემორანდუმის გაფორმების შემდეგ შეიქმნება შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სრულყოფილი სისტემა, რომელიც იქნება ზუსტი, სარწმუნო და საჯარო.

„მემორანდუმით გათვალისწინებული უწყებების ანგარიშგაღებულება ერთმანეთის მიმართ, ინფორმაციის გაზიარება, შეესაბამება ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის სფეროში არსებულ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებს, პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და ემსახურება აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2016 წლიდან აქტიურად დაიწყო საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელება, რაც გამოიხატა პროკურორებისთვის

ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით რეკომენდაციების შემუშავებაში, პროკურორთა და პროკურატურის გამოძიებულთა გადაზიდვებისა და პროფესიულ განვითარებაში, სტატისტიკური მონაცემების წარმოებასა და პროკურორთა სპეციალიზაციაში“ – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

„დღეს ჩვენ ვხედავთ ინტენსიური მუშაობის ხელშეწყობას შედეგს, მემორანდუმს, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე მონაცემთა შეგროვებისა და გამოქვეყნების შესახებ. მოხარული ვართ, რომ ამ პროცესში ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერა შევძელი. მოუთმენლად ველი შემდგომ პროგრესს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“ – აღნიშნა ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა ნატალია ვუტოვამ მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე.

„ჩვენ ვიზიარებთ ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ ღირებულებებს, განსაკუთრებით დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და პირთა თანასწორობის დაცვის თვალსაზრისით. თავის მხრივ ვუერთდებით სახელმწიფოს გაცხადებულ ნებას, რომელიც ასახულია ადამიანის უფლებათა 2014-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში მოახდინოს ეფექტური რეაგირება დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიმართ. აღნიშნული ღირებულებებიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესი სასამართლო მზად არის დაიცვას მონაცემების აღრიცხვის ერთიანი სტანდარტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სრულყოფილად აღრიცხვის მიზნით“ – განაცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო ქადაგიძემ.



## თურქეთის მოქალაქე 35.000 ლარის ოქროს შემოტანის მსჯელობისთვის დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები, რა დროსაც მოხდა მისი მხილება.

„საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 299 გრამი ოქროს ნაკეთობები, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 35.000 ლარს აღემატება“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

## თიბურაზ ჯანაშიას საქმის განხილვა 13 ოქტომბერს გადამდის

საქალაქო სასამართლო მიხილ სააკაშვილის და თიბურაზ ჯანაშიას ბრალდების საქმის განხილვას განაგრძობს. საუბარია საქმეზე, სადაც მესამე პრეზიდენტს და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილ უფროსს 9 მილიონი ლარის გავლანგავს ედავებიან. დღეს პროცესზე პროკურატურის მოწვევ უნდა გამოეკითხათ, თუმცა სხდომა 13 ოქტომბრამდე გადაიდო.



– პროკურატურა აბსოლუტურად არ დაინტერესდება, რისთვის და რა განკარგულების საფუძველზე იყო ეს ხარჯი გაწეული. ასე მშრალად აიღო რიცხვები, გადაფრენა აბდენი, გაფლანგვა ამდენი. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ხარჯები მოგვცეს დღეს სასამართლო-

შიც, სასამართლო აგრძელებს იგივე ტრადიციას, ისიც არ ურთავს ამ საქმეს, – აცხადებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თიბურაზ ჯანაშია.

თემურ ჯანაშიას ადვოკატი, ბექა ბახალია ამბობს, რომ მსგავსი ხარჯების განევა დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც ხდება და ამის მაგალითად მოჰყავს ის, რომ ცოტა ხნის წინ სახელმწიფომ კონკრეტული თანამდებობის პირის თბილისიდან მინსკში სპეცრეისით ტრანსპორტირებისთვის ხარჯი განაია.

პროკურორის თქმით, არასწორია ამ კონკრეტული ხარჯის გაიგივება ბრალდებაში არსებულ ხარჯთან.

## ვახტანგ გომელაური: „დისკრიმინაციის წინააღმდეგ უუაქმიან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს“



საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმში გაფორმდა. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ აღნიშნული

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმში გაფორმდა. შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, რომ აღნიშნული

გან საქმეთა სამინისტროსთვის იქცა პოლიტიკის დონეზე პრიორიტეტულ მიმართულებად, რაზეც მეტყველებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული არაერთი აქტივობა.

„2018 წლიდან, სამინისტროში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აღნიშნულ დანაშაულებზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს და წარმოადგენს გარანტს იმისა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები არ დარჩება ყურადღების მიღმა. ვფიქრობთ, ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორცაა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, ძალიან მნიშვნელოვანია კოორდინირებული მუშაობა და საერთო სურვილი იმისა, რომ ქვეყანაში არსებული გარემო გახდეს კიდევ უფრო უკეთესი“ – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო ქადაგიძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს.





### ბელარუსის ნაკრების გააფართოვება შეადგენლობა სნოვილია



საქართველოს ეროვნულ გუნდს 8 ოქტომბერს უმინშენლოვანის მატჩი ელის ბელარუსის ნაკრებთან. სანამ საქართველოს ნაკრების თავკაცი ვლადიმერ ვაისი ფიქრობს, ბელარუსთა მთავარმა მწვრთნელმა მისიარ მარხელმა გუნდის გაფართოვებული შემადგენლობა დაასახელა.

მარხელმა ამჟამად 35 ფეხბურთელი გამოიძახა, საბოლოო 27-კაციან სიას კი, 28 სექტემბერს გამოაცხადებს. 3 ოქტომბრიდან ბელარუსის ეროვნული გუნდი ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში შეიკრიბება და მომავალი მატჩებისთვის მზადდება დაინყებს. მარხელის გუნდი თბილისში 7 ოქტომბერს გამოემგზავრება.

მარხელის სია ასეთია:

**მეკარეები:** ალექსანდრ გუტორი (სოლიგორსკი), დენის შერბიცი (ბატე), ეგორ ხატკევიჩი (ისლოჩი), სერგეი იგნატოვიჩი (დინამო ბრ);

**მცველები:** ალექსანდრ მარტინოვიჩი (კრასნოდარი, რუსეთი), მაქსიმ ბორდაროვი (ტორპედო ბელაზი), დენის პოლიაკოვი (პარიზი, ყაზახეთი), ნიკიტა ნაუშოვი (ჟეტისუ, ყაზახეთი), ალექსანდრ პავლოვიჩი, რომან იუზუშჩუკი (ორივე დინამო ბრ), ალექსანდრ საჩივკო (სოლიგორსკი), ნიკოლაი ზოლოტოვი (ურალი, რუსეთი), მაქსიმ შვეცივი (დინამო მწ), ალექსეი ლეგჩინი (ჟენაი), სერგეი კარპოვიჩი (ისლოჩი);

**ნახევარმცველები:** სტანისლავ დრაგუნა, იგორ სტა-სევიჩი, პაველ ნეხაიჩი, ევგენი იაბლონსკი (ყველა ბატე), ივან მაცეცკი, მაკს ებონგი (ასტანა, ყაზახეთი), პაველ სავიცი-კი, კირილ პერენინი (ორივე დინამო ბრ), ნიკიტა კორზუნი, იური კენდიში, დმეტრი პოდსტრელოვი (ყველა სოლიგორსკი), იური კოვალოვი, ვალერი გრომოკო (ორივე არსენალი, რუსეთი), ივან ბახარო, ვლადისლავ კლიმოვიჩი (ორივე დინამო მწ), ანდრეი ხაჩატურიანი (ტორპედო ბელაზი);

**თავდასხმელები:** მაქსიმ სკავენი (ბატე), ნიკოლაი სიგნევიჩი (ხიმკი, რუსეთი), დენის ლაპტევი (დინამო ბრ), ვიტალი ლისაკოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი).

### ლივერპული ყველაზე კვირადღივად კლუბი

საფეხბურთო ვებგვერდს „ტრანსფერმარკეტის“ დათვლით გამოდის, რომ ფეხბურთელების ფასის მიხედვით, ყველაზე ძვირადღირებული კლუბების ოთხეული პრემიერლიგის აქვს დაპყრობილი.

CLUB	VALUE
1. LIVERPOOL	€893.5M
2. MAN CITY	€833.3M
3. BARCELONA	€810.3M
4. CHELSEA	€825.5M
5. REAL MADRID	€799.5M
6. BAYERN MUNICH	€754.2M
7. MAN UTD	€715.5M
8. PSG	€704.4M
9. REAL MADRID	€703.5M
10. TOTENHAM	€626.7M

ლივერპული მსოფლიოს ყველაზე ძვირფასი კლუბი გამოდგა. ეს სტატუსი მერსისაიდელემა ზაფხულის ერთი შეხედვით მოკრძალებული ნასყიდობების წყალობით შეიძინეს.

გასულ კვირას „წითლებმა“ დამატებს ტიაგო ალკანტარა და დიოგო ჟოტა, რის შედეგადაც მათი ფასი 986,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გახდა.

თითქოს გასაკვირია, რომ იურგენ კლოპის გუნდი უფრო ხარჯიანი აღმოჩნდა, ვიდრე მანჩესტერ სიტი, რომლის ფასი დიდი „არაბული ფულია“. პირველ და მეორე ადგილოსანს შორის განსხვავება 50 მილიონია.

კლოპს ჰყავს 2 ვარსკვლავი, რომელთა ფასიც სათითაოდ 100 მილიონზე მეტია. ლაპარაკია მოჰამედ სალასა და სადიო მანეზე. ორივე 108 მილიონ გირვანქად არის შეფასებული. ტრენტ ალექსანდერ-არნოლდის ფასი 99 მილიონი გირვანქა, კიდევ 5 ფეხბურთელი კი, 50 მილიონზე მეტი ღირს.

სიტი 933 მილიონი ღირს და უსწრებს ბარსელონას, რომლის ფეხბურთელთა ჯამური ღირებულება 910 მილიონის ტოლია.

მეოთხე ადგილზეა ჩელსი. „ლურჯებმა“ ამ ზაფხულს 7 ახალი ფეხბურთელი შეიძინეს. მათ შორის – კაი ჰავერცი, ტიმო ვერნერი და ბენ ჩილუელი.

გასაკვირია, რომ მანჩესტერ იუნაიტედი ამ სიაში მხოლოდ მე-7 ადგილზეა და ლივერპულს თითქმის 300 მილიონით ჩამოუვარდება. ჩამონათვალში იუნაიტედი მადრიდის რეალსა (5) და მიუნხენის ბაიერნს (6) შემდეგ მოდის.

ათულში ასევე არიან მსუ (8), მადრიდის ატლეტიკო (9) და ტოტენჰემი (10).

### საგლოვიარო განსხვავებები



ბონდო გერგედავა, რეზო სილოგავა, ანატოლი შამუგია და ფილინი ფაცაცია მწუხარებით იწყებენ, რომ გარდაიცვალა

**პახტანაშვილი**  
და სამიძის უცხადებენ განსვენების ოჯახს.

ბორის კაკუბავა ოჯახით სამიძის უცხადებს თემურ გორდელავას დედის

**როზა გერგედავა ასულ ქარდავა-გორდელავას**  
გარდაცვალების გამო.

**საგლოვიარო და მისალმონი განსხვავებები მიიღება**  
ბელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე

### ვიქტორ ფონი: „ბარათოვანი უნდა გადავადგარიყო“

ბარსელონას პრეზიდენტობის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა კანდიდატმა, ვიქტორ ფონტამ ესპანურ მედიასთან ბოლოდროინდელ აქტუალურ თემებზე ისაუბრა.



— როგორ ჩაერთოე უნდობლობის გამოცხადების პროცესში?  
— ყველაფერი ვირტუალური შეხვედრით დაიწყო. 8 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა მე, ფარე და ალა მიგინკია. ფარეს უკვე გადამწერილი ჰქონდა, რომ უნდობლობის საკითხზე პროცესს აღძრავდა. ჩვენ წამოწყებას მხარს არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ ქმედებითაც ვუჭერდით. ყველაფერი გამოვიდა და სვლა გავაგრძელებთ.

— რატომ არ გამოჩნდით ფოტოზე ბიულეტენების შეგროვებისას?  
— რადგანაც ინიციატივა სხვადასხვა ადამიანებმა გამოიჩინეს. არ მინდოდა, რომ პროცესი საარჩევნო მიზნებისათვის დამკავშირებინა.

— რამდენი ხელმწიფი შეგროვებთ?  
— ჩვენს მთავარ ოფისთან უზარმაზარი რიგები იდგა — დაახლოებით, 3.000 ადამიანი. იქ ისეთი ხალხი მივიდა, რომელთაც კლუბში 7-წლიანი მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ.

— უნდა გადავდგეს თუ არა ბარათოვანი არჩევნებამდე?  
— რა თქმა უნდა. ბაიერნთან სამარცხვინო წაგებით დაწყებული, სხვადასხვა კრიზისებით გაგრძელებული, ყველაფერი მის კისერზეა. ჩვენი მიზანია, ინსტიტუციური სტაბილურობა დავაბრუნოთ, რასაც ახალი პროექტი მოიტანს.

— არჩევნები რომ ხვალ იყოს, მომზადებული იქნებით?  
— დიას, რადგან ამ პროექტზე 2013 წლიდან ვმუშაობთ. ვიცოდით, რა პრობლემებს შეიძლება კლუბი მომავალში რომ გადაეყრებოდა. ვვარაუდობდით, რომ ერთ დღეს იდეალური შტორმი დაგვატყდებოდა თავს.

— რას გულისხმობთ იდეალურში? იდეალური „ბარსას ფანებისათვის“?  
— სიტყვა იდეალური ამ შემთხვევაში ბევრ ფაქტორს აერთიანებს. პანდემიას წინასწარ ვერ განვსაზღვრავდით. ვფიქრობდით, რომ საოცარ თაობას ჩანაცვლება დასჭირდებოდა. ხალხი გვეკითხებოდა, მესის შემდგომ ცხოვრების გაგრძელებას როგორ ვაპირებდით. მადლობა ღმერთს, რომ ამისათვის დიდი პერიოდი, ვეძებდებით. როდესაც ახალ პროექტს ვამბობ, ვსაუბრობ მყარ გუნდზე, რომელიც როგორც ბორდის, ასევე ბიზნისის საკითხში უფლები იქნება. აუცილებელია, რომ მომავლის გამოწვევებს წარმატებით დავუპირისპირდეთ.

— ამდენი ხანია მზადების პროცესში ხართ და თავს ფავორიტად გრძობთ?  
— არა, რადგანაც ამ საკითხებში ახალი ვარ. არჩევნებში გამოცდილება არ მაქვს. ხანდახან კარგი პროექტი მოსაგებად საკმარისი სულაც არ არის. ყველაფერი არჩევნების სცენარზე იქნება დამოკიდებული. თუმცა თავდაჯერებული ვარ.

— მისცემდით თუ არა მესის უფასოდ წასვლის უფლებას?  
— როგორც უმაღლესი ინსტიტუციის წარმომადგენელი, ჩვენთვის პრიორიტეტი ჩვენი სიტყვის კაცობა იქნებოდა. თუ ბარათოვანი მას წასვლას დაჰპირდა, უნდა გაეშვა კიდევ. ჩვენ ლოსთან მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუხსნებოდით, რადგან მესი-ბარსელონას კავშირი ჩვენი პროექტის 3-4-წლიან გეგმაში შედის. ის უმინშენლოვანის ფიგურაა, რომელსაც ცუდად მოექცნენ. ვნახით, ამ სიტუაციას სასარგებლოდ თუ გამოვიყენებთ. აუცილებელია იანვრამდე, როდესაც უფასოდ წასვლის უფლება ექნება, ლეონ იცლანს, რომ მომავალ მის გარშემო ვამუშავებთ.

— ისაუბრეთ თუ არა მესის მამასთან?  
— დიას, მის წარმომადგენლებთან გავისაუბრეთ.

— იყენებთ თუ არა ჩაფი ერნანდეს თქვენს სასარგებლოდ?  
— ჩვენი სპორტული პროექტი სწორედ ჩაფის უკავშირდება. მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. მას და მეუბნებიან ყველაფერი აქვთ იმისთვის, რომ ჩვენს საფეხბურთო გეგმებს გაუძღვნენ. ჩაფი უკვე დაგვეკონტაქტა და აგვისტო, რომ კლუბში საკუთარი ტექნიკური დირექტორებით, ფსიქოლოგებით, სკაუტებითა და მეთოდოლოგიით მოვა.

— რონალდ კუმანი რიკი პუჩს წასასვლელად კარს უღებს, რას ფიქრობთ?  
— ეს ხაზს კიდევ ერთხელ უსვამს იმ ფაქტს, რომ კლუბს ახალი პროექტი სჭირდება, თანაც, რაც შეიძლება მალე. ისეთი გადამწყვეტილებები, რომლებიც ბარსას მომავალზე გავლენას იქონიებენ, პაერზე არ უნდა მიიღონ.

— რომელი შენაძენები მოგწონთ ყველაზე მეტად?  
— მარკ-ანდრე ტერ შტეგენის ტექნიკური შესაძლებლობები მაცხვებს, ასევე მისი კლუბისა და თანაგუნდელებისადმი დამოკიდებულება. ფრენკი დე იონგიც უსუსტად ანალოგიური პიროვნებაა. ერიკ გარსიას მოსვლით ბედნიერი ვიქნებოდა.

### ლოკომოტივის გამოცდა გრანადოში

თბილისის ლოკომოტივმა ევროპა ლიგაზე 2 საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვით ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზა. გია ჭიბარძის გუნდის გუნდმა ჯერ რუმინული უნივერსიტეტი დაამარცხა, შემდეგ კი — მოსკოვის დინამო.

დღეს ლოკოს სერიოზული გამოცდა ელის — ევროპალიგის კვალიფიკაციის მე-3 რაუნდში სტუმრად ესპანურ გრანადას დაუპირისპირდება.

ისტორიას წერს გრანადაც — პატარა ესპანური კლუბი, რომელიც ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გასულ სეზონში მე-7 ადგილზე გავიდა და გუნდი ისტორიაში პირველად ევროტურნირზე მოხვდა.

გრანადას ევროპულ „ნათლობა“ ერთი კვირის წინ, ალბანეთში, ტეუტსთან მატჩში შედგა და ესპანელმა 4:0 გაიმარჯვეს.

მომავალ მატჩთან დაკავშირებით ლოკომოტივის მთავარი მწვრთნელი გია ჭიბარძის საუბრობს:

— გრანადას ლა ლიგის გასულ სეზონში მე-7 ადგილზე გავიდა, წელს კი, 2-დან 2 მოგება აქვს. როგორ შევბრუნებ გულშემატკივრებს, რომ მოვიგებთ? არც ის მინდა, რომ ჩვენს 2 მოგებას ზედმეტი მოლოდინი მოჰყვეს. ჩვენზე ბევრად

ძლიერ გუნდს ვხვდებით — უნივერსიტეტი, მოსკოვის დინამო და ჩვენ რომ გავერთიანდეთ, შემსრულებლობით ერთი გრანადა არ გამოვა. ვეცდებით, ყველაწარმოების გარეშე ფეხბურთი ვითამაშოთ. რაც გამოვა, გამოვა... წესით და რიგით, შემდეგ ეტაპზე გრანადა უნდა გავიცდეს. ვთამაშობთ ესპანეთში, სადაც ყველაზე მაღალი დონის ჩემპიონატი და ერთ-ერთი გამოჩენილი გუნდს ვხვდებით. არ გაიგოთ, რომ ვენერვიულობთ. არა, ყველაწარმო სტრესი მოხსნილი გვაქვს. ბევრი გავაკეთეთ და კიდევ შეიძლება დავამატოთ, მაგრამ რეალობა არის ის, რაც არის...

ლოკოსთან მატჩის წინ გრანადას მთავარმა მწვრთნელმა დიეგო მარტინესმა ისაუბრა:

— საქმისადმი გუნდის დამოკიდებულებით ძალიან კმაყოფილი ვარ. გრანადა მოკრძალებული და მშრომელი გუნდია, მატჩებისას ბოლომდე იხარჯება. გულშემატკივრები თამაშის სახლებში საყურებლად მოემზადონ და იქიდან გამოვიგზავნონ ენერჯია. ფეხბურთელები ძალიან მოტივირებულნი არიან. „პარმენესზე“ პირველად ვატარებთ ასეთ მატჩს. ჩვენს ძალიან მობარულები ვართ, რადგან ძალიან საინტერესო თამაში გველის.

### გაგუჩაძე ბათუმიდან არ მიდის

იყო საუბარი, რომ გაგუჩაძე ბათუმის დინამოს მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა. ეს ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც ზღვისპირელებმა საქართველოს თასის მწვრთნელმა პირველიველ გავრასთან წააგეს. თუმცა, გაგუჩაძე გუნდში რჩება...



ამის შესახებ აჭარული კლუბის პრეზიდენტმა არჩილ ბერიძემ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

**არჩილ ბერიძე:**  
— გუნდის ბოლოდროინდელი შედეგებიდან გამომდინარე უკმაყოფილება იყო. სიტუაცია გავაანალიზეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეგუჩაძე საკუთარი მოვალეობის შესრულებას მინიმუმ სეზონის ბოლომდე გააგრძელებს. ვფიქრობთ, რომ ეს სეზონი აუცილებლად იქნება წარმატებული. გუნდის მიზანი უცვლელია — საქართველოს ჩემპიონობა. ფეხბურთელები, მთავარი მწვრთნელი და კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებთ ამ მიზნის მისაღწევად. მოთამაშეებსა და ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა გაიმართება. ვფიქრობთ, გუნდი მომზადებული შეხვედრა შემდეგ მატჩს და ეს ჩავარდნა წარსულს ჩაბარდება.

არჩილ ბერიძემ პრესკონფერენციაზე ჯოჯინო ფლამარიონის ტრანსფერთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განმარტა, რატომ გახდა კლუბი იძულებული, ბრაზილიელი ფეხბურთელი ვოლგოგრადის როტორში იჯარით გაეშვა:

— ამ ნაბიჯის გადადგმა თავად ჯოჯინო მოიხსურა და ჩვენც სხვა არჩევანი არ გვქონდა. გარდა იმისა, რომ მის კონტრაქტში ჩადებული პუნქტის გამო, იჯარით როტორში

გაგუჩაძე კონტრაქტის გაფორმების წინ ჯოჯინოს აგენტების მხრიდან იყო დაჟინებული მოთხოვნა, რომ ჩაწერილიყო გამოსასყიდო თანხა. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით. თუ გამოსასყიდო თანხა არ ჩაინერგებოდა, ისინი ამ კონტრაქტს ხელს არ აწერდნენ და ჯოჯინოს კვარავდით. ამიტომ წავედით დათმობაზე და ჩვენ წერეთ ბრაზილიელის კონტრაქტში გამოსასყიდო თანხა. ახლა, როდესაც ჯოჯინომ გაშვება ვთხოვა, მასთან ახალი მოლაპარაკება დავიწყეთ, თანახმა ვიყავით, კიდევ ერთხელ გავეწირებინა მისთვის ხელფასი, მაგრამ ჯოჯინო შეუვალა იყო. მან პირდაპირ გვითხრა, რომ წასვლა სურდა. აგენტების თქმით, თუ არ გავუშვებდით, ისინი კონტრაქტს პუნქტს აამოქმედებდნენ. ეს იყო მიზეზი, რის გამოც ჯოჯინომ დაგვტოვა. იძულებული ვიყავით, რომ მის განათხოვრებას დავთანხმებულყავით. ასე რომ არ გაგვეკეთებინა, ჯოჯინოს მაინც ვერ შევინარჩუნებდით, რადგან იმ პუნქტს აამოქმედებდნენ.

### უელფაბი

**22 სექტემბერი**  
**უელფაბი**  
კრასნოდარი-რეპუბლიკა ..... 2:1  
მაქაბი-ზალცბურგი ..... 1:2  
სლავია-მიდტიულანდი ..... 0:0

მოამზადა მისეელ ჟორჟილიანმა

### ჯიხსჯიხი ბ

**შეუღალა:** 1. პატარა გემი; 2. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 3. „ჯენერალ მოტორის“ ფორმის მსუბუქი ავტომობილი; 4. მთავრობის წევრი; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტა წინადა ნიგნი; 11. ტაძარი ქუთაისში; 12. უალკოჰოლი მატონი-ზირეული სასმელი; 14. სამკურნალო მცენარე; 16. უბანი თბილისში; 17. გემის ხელსაწყოების პერსონაჟი; 19. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 21. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.

**თარაზულად:** 5. ზღვის დიდი ათფევა კობორჩხალა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 6. ღვინის წარმოების ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდაკლადის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. კათოლიკური მამათა მონასტერი; 15. გულში ნადები ბოლმა; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. უნივერსიტეტი მადრიდში; 22. ფარისეველი ქვეყნის, მეშანის, ობვიეტელი ადამიანი; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. საბრძოლო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი.

**შეადგინა თ.კობაღიშვილი**

**ნიწა ნოქარში გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:**

**ქროსვორდი ა**  
შეუღალა: 1. ნოთაობა; 2. დეკანოზი; 3. ატლანტი; 5. კლარჯულა; 7. სტალინი; 9. ბოტულიზმი; 13. პილტონი; 15. ქოქოსი; 16. აფონია; 18. აზარი.  
თარაზულად: 4. მორიკონი; 6. აპერკოტი; 8. პანჩატანტრა; 10. სალხინი; 11. ტომი; 12. ანკერი; 14. სქემა; 17. რიტმი; 19. თქემა; 20. ენოლოგია; 21. იკაო; 22. ბოჯიხინი; 22. პიბრლი.

**ქროსვორდი ბ**  
შეუღალა: 1. შატლი; 2. პიანიჩი; 3. კვლასური; 4. კრწანისი; 8. კალმასობა; 9. ბრილიანტი; 11. მურმანი; 12. დოლი; 14. ანსა; 16. ზაქათალი; 17. ვარიანტი; 19. ნარიტი; 21. კუნა.  
თარაზულად: 5. სერვანტი; 6. დამილერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ონიქსი; 15. ილუმენი; 18. შამონი; 20. სატირა; 22. მირანგულა; 23. ბლანშეტი; 24. ანდუზიტი.

